ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

17 მარტი 2014 წელი
თბილისი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში სასწავლო ცენტრი), წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **ნინო ციხისთავი-ხუციშვილის** მიერ და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ **მერაბ ბერიძის** მიერ, (შემდგომში - მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. **მემორანდუმის საგანი**

   წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატი–ვისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. **მემორანდუმის მიზანი**

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განახორციელება, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი კვლევების, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. **მემორანდუმის ამოცანები**

   ზემოთ ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ:

   3.1. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს სასწავლო ცენტრის რესურსის (მათ შორის, თბილისისა და ყვარლის ოფისების) გამოყოფა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის შეღავათიან პირობებში.

   3.2. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის და მისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება.

   3.3. მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები;

   3.4. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

3.5. სხვა ღონისძიებები ზემოჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

5.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით;

5.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები:

„სასწავლო ცენტრი“	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მისამართი: ვახტანგ გორგასლის ქ. 24, თბილისი, საქართველო 0133	მისამართი : რუსთაველის ქ. N106 ქ. ახალციხე, საქართველო 0800
ტელ: (+995 32) 2 932250 ფაქსი: (+995 32) 2 932250 ელ-ფოსტა: ntsikhistavi @justice.gov.ge ვებგვერდი: http://www.tcj.gov.ge	ტელ.: (+ 995 0365) 22 02 93 ფაქსი: (+ 995 0365) 22 02 93 ელ. ფოსტა: contact.sjuni.edu.ge ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge
ცენტრის დირექტორი	უნივერსიტეტის რექტორი
ნინო ციხისთავი-ხუციშვილი	მერაბ ბერიძე